სასკოლო ოლიმპიადა ქართულ ენასა და ლიტერატურაში

„განათლება ქმნის მომავალს“

კონკურსის დებულება

2023

სასკოლო ოლიმპიადა ქართულ ენასა და ლიტერატურაში
„განათლება ქმნის მომავალს“

მუხლი1.ზოგადი დებულება

შპს ევროპის უნივერსიტეტი მოსწავლეებში განათლების როლის გააზრებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით აცხადებს ოლიმპიადას ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომელიც ეძღვნება **განათლების საერთაშორისო დღეს (აღინიშნება 24 იანვარს)**

ოლიმპიადის ფარგლებში მოსწავლეები შექმნიან ესეებს, გაიაზრებენ განათლების პოზიტიურ მნიშვნელობას ღირსეული მოქალაქის ჩამოყალიბების პროცესში, ასევე სახელმწიფო ენის მნიშვნელობას, შეძლებენ ლიტერატურული აზროვნების საუკეთესო უნარ-ჩვევების გამოვლენას.

მუხლი 2. ოლიმპიადის მიზანი

1. მოსწავლეების მიერ განათლების როლისა და სახელმწიფო ენის მნიშვნელობის გააზრება, მშობლიურ ენაზე გამართულად წერის კულტურის დახვეწა, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარება.
2. მოსწავლეებში ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის საჭირო კომპეტენციების დახვეწა-გაუმჯობესება.
3. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება;
4. ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, აგრეთვე შემოქმედებითი უნარების განვითარება;
5. კონკურენტულ გარემოსთან ადაპტირებისა და შესაძლებლობათა გამოვლენის უნარების განვითარება.

მუხლი 3. ოლიმპიადის პირობები

1. ოლიმპიადაში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საშუალო საფეხურის XII კლასის მოსწავლეებს;
2. ესე შექმნილი უნდა იყოს სპეციალურად ამ ოლიმპიადისთვის სახელმწიფო ენაზე;
3. საკონკურსო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს მინიმუმ 250 სიტყვა.
4. ესეს შესასრულებლად განკუთვნილი დროა 3 საათი;
5. ნაშრომის ბოლოს უნდა იყოს მითითებული სკოლის დასახელება, კლასი, ავტორის სახელი და გვარი, საკონტაქტო მონაცემები და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
6. ესეები ექვემდებარება შესაბამისი პროგრამით (Turnitin) შემოწმებას და პლაგიატის დადგენის შემთხვევაში არ განიხილება;
7. პიროვნების შეურაცხმყოფელი, აგრესიული, არანორმატიული ლექსიკის შემცველი ტექსტის შემთხვევაში ესე ოლიმპიადას გამოეთიშება.

მუხლი 4. შეფასების კრიტერიუმები

1. დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება;
2. საკითხის ირგვლივ არგუმენტირებული, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა, რომელშიც წარმოჩნდება მოსწავლის ერუდიცია და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; აგრეთვე პრობლემის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაჭრის გზის შეთავაზება;
3. აზრის მკაფიოდ, ნათლად, ამოცანის შესაბამისი სტილითა და სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით გადმოცემა.

ესე ფასდება სამი კრიტერიუმის მიხედვით და მისი შეფასების მაქსიმალური ქულაა 10. დეტალური შეფასების რუბრიკა მოცემულია დანართით.

მუხლი 5. ოლიმპიადის ლოჯისტიკა:

1. ოლიმპიადა ჩატარდება ერთ ეტაპად;
2. ოლიმპიადის ჩატარებას ორგანიზებას უწევს ევროპის უნივერსიტეტი (მოსწავლეებისათვის ოლიმპიადის პირობებისა და ვადების გაცნობა, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება და კონკურსის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა);
3. რექტორის ბრძანებით სპეციალურად ამ მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით. კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე;
4. ოლიმპიადა ჩატარდება თბილისში, ევროპის უნივერსიტეტის თბილისის ადმინისტრაციულ შენობაში მისამართზე: გურამიშვილის გამზირი N76 და ქუთაისში ევროპის უნივერსიტეტის კამპუსში მისამართზე: წერეთლის ქუჩა N 13;
5. ოლიმპიადის მიმდინარეობისას განხორციელდება ვიდეოკონტროლი, ასევე პროცესს თვალყურს მიადევნებს სპეციალურად გამოყოფილი მონიტორინგის ჯგუფი; აკრძალულია მობილური ტელეფონისა და სხვა ნივთების შეტანა, გარდა სასმელი წყლისა და საწერი კალმისა;
6. თითოეული მოსწავლე ნამუშევარს შეასრულებს სპეციალურად ოლიმპიდისთვის დადგენილ დროს (დღესა და საათზე), რომელიც კონკურსანტს ეცნობება 3 დღით ადრე მის მიერ ოლიმპიადაზე რეგისტრაციისას მითითებულ ელექტრონულ მისამართზე და მობილურ ტელეფონზე შეტყობინების სახით;
7. ესეს თეზისს მონაწილეებს აცნობებენ წერის დაწყებამდე 5 წუთით ადრე;
8. ოლიმპიადის ნამუშევრების შეფასების კომისია შეარჩევს 3 საუკეთესო ნაშრომს, თანაბარ ქულიანი ნაშრომების გამოვლენის შემთხვევაში გამარჯვებული გამოვლინდება კომისიასთან გასაუბრების შემდეგ;
9. ევროპის უნივერსიტეტს უფლება აქვს გამარჯვებული ესეები, მისი

ავტორის/ავტორების თანხმობის შემთხვევაში განათავსოს უნივერსტიტეტის ვებგვერდზე eu.edu.ge, ასევე ინფორმაცია გაავრცელოს სოციალურ მედიაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

1. კონკურსის მონაწილეს არადამაკმაყოფილებელი შედეგის შეტყობინებისთანავე უფლება აქვს 2 დღის ვადაში წერილობით მიმართოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს შედეგის გასაჩივრებისა და ნაშრომის გამოთხოვის მიზნით;
2. კომისია ვალდებულია განიხილოს შემოსული განცხადება/განცხადებები და გადაწყვეტილება აცნობოს კონკურსანტს 2 დღის ვადაში

მუხლი 7. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება

1. კომისია განიხილავს ნამუშევრებს და გამოავლენს I, II, III ადგილებზე გასულ გამარჯვებულებს, რომლებიც დაჯილდოვდებიან ევროპის უნივერსიტეტის მიერ დაწესებული პრიზებითა და დიპლომებით.

მუხლი 8. ოლიმპიადის ვადები

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ოლიმპიადის შესახებ ინფორმაციის გავრცელება არაუგვიანეს **2023 წლის 16 ნოემბრისა;**
2. მონაწილეთა რეგისტრაცია **17 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე** სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ ბმულზე;
3. მონაწილეთა საბოლოო რაოდენობის განსაზღვრა არაუგვიანეს 1 **დეკემბრისა;**
4. ოლიმპიადის პირველი ეტაპის ჩატარება არაუგვიანეს **15 დეკემბრისა;**
5. გამარჯვებული მოსწავლეების გამოვლენა არაუგვიანეს **16 იანვრისა;**
6. გასაჩივრების ბოლო ვადა **19 იანვარი;**
7. დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება **24 იანვარს,** განათლების საერთაშორისო დღეს;
8. დამატებითი კითხვების შემთხვევაში შესაძლებელია მოგვწეროთ ელფოსტაზე: info@eu.edu.ge

გისურვებთ წარმატებას!

დანართი N 1

ესეს შეფასების რუბრიკა

№	კრიტერიუმი	აღწერა	ქულა
1.	დავალების პირობის ადეკვატურად გაგება-გააზრება	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული	2 ქულა
		დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული	1 ქულა
		დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული (ნაშრომი აღარ შეფასდება)	0 ქულა
2.	პრობლემის ანალიზი, მსჯელობა-არგუმენტაცია	მოცემული პრობლემა სიღრმისეულადაა გაანალიზებული, მოყვანილია **მყარი**, **დამაჯერებელი** არგუმენტები, მსჯელობა გამყარებულია მაგალითებით, **თანმიმდევრული და ლოგიკურია**. **მკაფიოდ** წარმოჩნდება მოსწავლის **ფართო** ერუდიცია და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; პრობლემის ხასიათის გათვალისწინებით, შეთავაზებულია მისი გადაჭრის **საინტერესო და ორიგინალური** გზა.	5 ქულა
		მოცემული პრობლემა გაანალიზებულია, **ძირითადად** მოყვანილია დამაჯერებელი არგუმენტები, თუმცა მსჯელობა **ყოველთვის არ არის გამყარებული მაგალითებით**, წარმოჩნდება მოსწავლის ერუდიცია და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; პრობლემის ხასიათის გათვალისწინებით, შეთავაზებულია მისი გადაჭრის გზა.	4 ქულა
		მოცემული პრობლემა **ძირითადად** გაანალიზებულია, თუმცა მოყვანილი არგუმენტებიდან რამდენიმეს **დამაჯერებლობა აკლია,** მსჯელობა **არ არის გამყარებული** მაგალითებით, **ზოგჯერ დარღვეულია თანმიმდევრობა და/ან ლოგიკა. ნაკლებად** წარმოჩნდება მოსწავლის ერუდიცია და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; პრობლემის ხასიათის გათვალისწინებით, **არ არის შეთავაზებული** მისი გადაჭრის გზა.	3 ქულა
		მოცემული პრობლემის ანალიზი **ზოგადია,** არ არის მოყვანილი არგუმენტები ან დასაბუთების მცდელობა სუსტი და არადამაჯერებელია. **დარღვეულია თანმიმდევრობა, ლოგიკა. არ წარმოჩნდება** მოსწავლის ერუდიცია და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; პრობლემის ხასიათის გათვალისწინებით, **არ არის შეთავაზებული** მისი გადაჭრის გზა.	2 ქულა
		პრობლემის შესახებ მსჯელობა **ზერელე და ზედაპირულია.**	1 ქულა
		პრობლემა **არ არის გაანალიზებული.**	0 ქულა
3.	ენობრივი და სტილური გამართულობა	ნაშრომი ენობრივად გამართულია, სტილი ერთგვაროვანი და დასმული ამოცანის შესატყვისია, ლექსიკა მდიდარია, თუმცა შესაძლოა შეგვხვდეს **ორიოდე უმნიშვნელო** ენობრივ-სტილური ხარვეზი. არ არის დაშვებული **4-ზე მეტი** პუნქტუაციური შეცდომა.	3 ქულა
		ნაშრომი **ძირითადად** ენობრივად გამართულია, სტილი ერთგვაროვანი და დასმული ამოცანის შესატყვისია, თუმცა ლექსიკურად **შედარებით** მწირია. დაშვებულია **რამდენიმე** სტილური და ენობრივი ხარვეზი, ასევე **10-მდე** პუნქტუაციური შეცდომა.	2 ქულა
		ნაშრომი ენობრივად **უმეტესად** გაუმართავია, ლექსიკურად მწირია და დაშვებულია **უხეში** სტილური და ენობრივი ხარვეზები. არ არის დაშვებული **14-ზე** მეტი პუნქტუაციური შეცდომა.	1 ქულა
		ნაშრომი ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ **აზრის გაგება ჭირს.**	0 ქულა